

კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების
მიმოხილვა



2013


კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების მიმოხილვა

საბანკო დეპოზიტი მსოფლიოში ინვესტირების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა. მათთვის, ვისაც ფულის არა უბრალოდ შენახვა, არამედ გარკვეული სარგებლის მიღებაც სურთ, საბანკო დეპოზიტი კარგი მექანიზმია. საქართველოში ამ პროდუქტის მიმართ ნდობა არ არის ძალიან მაღალი, ვინაიდან ჯერ 20 წელიც არ არის გასული, რაც მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს 90-იან წლებში განვითარებული ჰიპერინფლაციის შედეგად ანაბრები გაუუფასურდათ და ფაქტობრივად გაუქრათ, თუმცა ბოლო წლებია, რაც დეპოზიტების ზრდის ტენდენცია საკმაოდ თვალშისაცემია და ეს ინსტრუმენტი იბრუნებს იმ მნიშვნელობას, რაც თანამედროვე მსოფლიოში გააჩნია - პასიური, მაგრამ ნაკლებად რისკიანი წყარო ინვესტიციისთვის.

დეპოზიტების ანატომია

ეროვნული ბანკის ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა (როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ვალუტით მოზიდული) 2013 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით 9.4 მილიარდ ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ დეპოზიტები ზრდის სწრაფი ტემპით ხასიათდება, 2007 წლის 1 სექტემბერთან შედარებით დეპოზიტების მოცულობა გაზრდილია 2,8-ჯერ, ხოლო ბოლო 10 წელიწადში საბანკო დეპოზიტები 12.2-ჯერ გაიზარდა.

მთლიანი დეპოზიტების მოცულობის დაახლოებით 60%, ანუ 5,67 მილიარდი ლარი უცხოური ვალუტით მოზიდულ დეპოზიტებს შეადგენს:



მთლიანი დეპოზიტები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს, დეპოზიტებს მოთხოვნამდე და ვადიან დეპოზიტებს. ამ კატეგორიების მიხედვით მთლიანი დეპოზიტების განაწილება შემდეგია:

მიმდინარე ანგარიშები - 3,3 მლრდ. ლარი;


დეპოზიტები მოთხოვნამდე - 1,8 მლრდ. ლარი;

ვადიანი დეპოზიტები - 4,3 მლრდ. ლარი.

როგორც ეროვნული ბანკის მონაცემები ცხადყოფს, საქართველოში ფიზიკური და იურიდიული პირები უცხოურ ვალუტას უფრო მეტად ენდობიან. განსაკუთრებული

პოპულარობით დოლარი სარგებლობს. როგორც აღინიშნა, მთლიანი დეპოზიტების 60%, ანუ 5,67 მილიარდი ლარი უცხოურ ვალუტაზე მოდის, რომლის 80,3% სწორედ დოლარშია განთავსებული, 17,2% ანუ 978 მილიონი ევროს ექვივალენტი ლარებში ევროშია განთავსებული, 1,6% (92 ათასი ლარი) ფუნტ სტერლინგში, ხოლო დარჩენილი 0,9% სხვა ვალუტაში.

მთლიანი დეპოზიტების თითქმის ნახევარს, 45%-ს ვადიანი ანაბრები წარმოადგენს. ვადიანი დეპოზიტი განთავსდება გარკვეული ვადით და მისი მოქმედების მანძილზე მასზე თანხის დამატება ან თანხის გატანა არ შეიძლება. ვადიანი დეპოზიტი ბანკისთვის უფრო სტაბილური წყაროა და შესაბამისად მისი სარგებლის განაკვეთიც შედარებით მაღალია. ბუნებრივია, დეპოზიტების ვადიანობა სხვადასხვაა, ეროვნული ბანკის მონაცემებით ვადიანი დეპოზიტების სტრუქტურა შემდეგია:



მთლიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობა საქართველოში 9,1 თვეს შეადგენს, აქედან ეროვნულ ვალუტაში განთავსებულის 6,4 თვე, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებული მთლიანი დეპოზიტების საშუალო ვადიანობა კი 10 თვეა.

მთლიანი დეპოზიტების მოცულობა ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის თითქმის თანაბრად ნაწილდება. დეპოზიტების 46,5% ანუ 4,4 მილიარდი ლარი ფიზიკური პირების მიერ არის განთავსებული, ხოლო დარჩენილი 5 მილიარდი ლარი იურიდიული პირების მიერ.

სარგებელი დეპოზიტებზე

ნებისმიერი ინვესტიციის გამხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს მთავარი ფაქტორია ინვესტიციის სარგებლიანობა, შემოსავლიანობა. საბანკო დეპოზიტის


შემთხვევაშიც ინვესტორი ყურადღებას აქცევს პირველ რიგში საპროცენტო განაკვეთს და შემდგომ ბანკის და ზოგადად საბანკო სექტორის მდგრადობას.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტებზე. საქართველოში ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც საბანკო დეპოზიტებში ფულის დაბანდებას მიმზიდველს ხდის როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ფიზიკური თუ იურიდიული პირებისთვის.

ბოლო წლებში დეპოზიტებზე სარგებლის განაკვეთი შემდეგნაირად იცვლებოდა:

	სულ			ეროვნული ვალუტით			უცხოური ვალუტით		
	საშუალო	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	საშუალო	მოკლევადიანი	გრძელვადიანი	საშუალო	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
2007	8.3	7.4	10.5	8.3	7.7	12.1	8.3	7.4	10.3
2008	8.9	8.1	11.6	8.8	8.0	13.7	9.0	8.2	11.2
2009	9.7	9.2	12.1	8.6	7.9	14.2	10.0	9.5	11.8
2010	8.7	8.1	11.6	8.3	7.7	13.9	8.8	8.2	11.4
2011	8.3	7.5	10.5	9.0	8.2	14.0	8.1	7.2	10.0
2012	8.4	7.4	10.2	9.3	8.1	13.9	8.2	7.1	9.7

განაკვეთები გრძელვადიან დეპოზიტებზე ორციფრა ნიშნულს ცდება, რაც



თანამედროვე მსოფლიოში არცთუ ხშირი შემთხვევაა და მსგავსი სარგებელი ნებისმიერი ინვესტორისთვის მიმდიზველია. განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი დეპოზიტის საპროცენტო განაკვეთი 5%-ზე დაბალია, უფრო მეტიც, არის შემთხვევები, როდესაც თითქმის 0-ს უტოლდება, მაგალითად შვეიცარია, სადაც დეპოზიტის სარგებელი 0,03%-ია.

თუ გადავხედავთ მსოფლიო ბანკის სტატისტიკას, რომელიც 2012 წელს მოიცავს, არცთუ ბევრ ქვეყანას ვნახავთ, სადაც საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე 10%-იან ნიშნულს სცდება. საქართველო სწორედ ასეთი ქვეყნების რიგს განეკუთვნება და იმ პოზიტიური შეფასებების ფონზე, რომელიც ქართული საბანკო სექტორის

მიმართ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ კეთდება, ორნიშნა სარგებელი დეპოზიტზე ინვესტორისთვის საკმაოდ მიმზიდველია.

ქართულ საბანკო სექტორში დეპოზიტების განთავსება რომ უცხოელი ინვესტორებისთვის მიმზიდველია, ამას ეროვნული ბანკის სტატისტიკაც მოწმობს, რომლის მიხედვითაც 2013 წლის იანვრისთვის მთლიან დეპოზიტებში არარეზიდენტების დეპოზიტების წილი 15%-მდე გაიზარდა, როდესაც 2010 წლის იანვარში ეს მაჩვენებელი 8%-ს შეადგენდა.

დეპოზიტებში ინვესტირების რისკი

მოგეხსენებათ, სარგებელი დეპოზიტებზე საქართველოში მაღალია, საბაკო სისტემა - სტაბილური. საქართველოს საბანკო სისტემა 2012 წლის ბოლოსათვის ადეკვატურად არის კაპიტალიზებული. პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი 13.5 პროცენტს უტოლდება, რაც საქართველოს ეროვნული ბანკის საზედამხედველო სტანდარტით განსაზღვრულ ლიმიტზე 5.5 პროცენტული პუნქტით მეტია, ხოლო საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი 17 პროცენტს აღწევს, რაც 5 პროცენტული პუნქტით აჭარბებს მინიმალურ მოთხოვნას. ეს ციფრები ცხადყოფს იმას, სისტემას აქვს უნარი უზრუნველყოფილ იქნეს ბანკში დეპოზიტორთა და სხვა კრედიტორთა ფულადი სახსრების შენახვის საიმედოობა.

მაშინ რა არის ინვესტორის რისკი? იღებს ის რეალურად მაღალ სარგებელს?

ამ კითხვების პასუხი ინფლაციის მაჩვენებელში უნდა მოვძებნოთ, რომელიც უარყოფით გავლენას ახდენს დეპოზიტის სარგებელზე. ინფლაციის ფაქტორის გათვალისწინებით, ხშირ შემთხვევაში დეპოზიტის სარგებელი საქართველოში უტოლდება მოწინავე სახელმწიფოების საპროცენტო განაკვეთებს:

წელი	საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტზე	საშუალო წლიური ინფლაცია	რეალური საპროცენტო განაკვეთი
2007	8.3	9.2	-0.9
2008	8.9	10	-1.1
2009	9.7	1.7	8.0
2010	8.7	7.1	1.6
2011	8.3	8.5	-0.2
2012	8.4	-0.9	9.3

ცხრილიდან ჩანს, რომ ცალკეულ წლებში ინფლაციის მაღალი დონის გამო რეალური სარგებელი უარყოფითი კი არის. თუმცა, უცხოელ ინვესტორს ამ ნეგატიური გარემოების თავიდან აცილების საშუალებაც ეძლევა, მას მას შეუძლია მიღებული ნომინალური სარგებელი კვლავ გაიტანოს საზღვარგარეთ, სადაც ინფლაციური პროცესები სტაბილურია და მისი რეალური სარგებელი კვლავ მაღალ დონეზე დარჩება. მაგალითად, ეროვნული ბანკის ბოლო მონაცემებით უცხოურ ვალუტაში განთავსებულ გრძელვადიან დეპოზიტებზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 9.2%-ია, თუ არარეზიდენტი მოახდენს თანხის საქართველოში განთავსებას და 1 წლის შემდგომ ამ თანხას მიღებული სარგებლიანად ისევ გაიტანს საკუთარ სამშობლოში, სადაც ინფლაციის დონე დაბალია, მისი რეალური სარგებელი მაღალ დონეზე დარჩება. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში წელიწადნახევარზე მეტია, რაც დეფლაცია გრძელდება, რაც რეალურ სარგებელს დეპოზიტებზე პირიქით ზრის.

ამდენად, როგორც საბანკო სექტორის სტაბილურობის, ისე საპროცენტო განაკვეთების თვალსაზრისით, ინვესტირება დეპოზიტებში ქართულ საბანკო სივრცეში საკმაოდ ხელსაყრელია. ეს შესაბამის ციფრებშიც აისახება. სტატისტიკა ნათლად ადასტურებს როგორც მთლიანად დეპოზიტების საკმაოდ სწრაფ ზრდას, ასევე დეპოზიტებში არარეზიდენტების მიერ განთავსებული დეპოზიტების წილის ზრდას, რაც ამ ინსტრუმენტის მიმზიდველობაზე და საიმედოობაზე მეტყველებს.